საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №71
2023 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 04/02/2021, სარეგისტრაციო კოდი: 360010010.22.033.017435) შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი №1-ის შენიშვნა №20 „საოპერაციო საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობის შეჯერება (შედარება) ნამეტთან/(დეფიციტთან)“ და შენიშვნა №21 „ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების შეჯერება (შედარება)“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის და შემდგომი წლების ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**